# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 537

დამატების № 96

კვირა, 27 მარტი 1916 წ.




მოწყალების და ანეტა ანდრონიკაშვილისა.
(დაიღუპა „პორტიუგალ"-ის გემზე).

# იაბლანი

(სერბიული)

პ. ქოჩიჩისა.

დიდი ხანი იყო, რაც ღამეს შავი სუდარა წამოეფარებინა. იქვე, სოფლის გვერდით, ნამკალში, იწვა ლუიო, საბანში ჩამძვრალიყო. პაჭუა სახე ლა უჩანდა, დიდი, მრგვალი თვალები და ხმელი თმის ქოჩოჩი შუბლზე. იქვე, რამდენიმე ნაბიჯზე ბალახსა სძოვდა. იაბლანი. მას უკან, რაც პაპანაქება სიცხე დაიჭირა, ლუიო თავის იაბლანს ღამე აძოვებდა ხოლმე. ისე უფრთხილდებოდა, ისე, როგორც თვალის გუგას. კვირაში ორჯელ მარილს ალოკებდა, თავის სადილს შუაზე უყოფდა. უყვარდა იაბლანი იმიტომ, რომ მთელ იმ მხარეში იმაზე ღონიერი ხარი არ მოიპოვებოდა. ლუიოს იმით თავი მოსწონდა. სხვა მწყემსებს და იმათ ხარებს ის არაფრად აგდებდა. იაბლანთან ერთად ღამეს სასაფლაოზეც გაატარებდა.

აგერ დილაც! გადაბრუნდა ლუიო კიდევ ძილში, მაგრამ თვალები დაეჭყიტა უკვე, გამოფხიზლდა, გადიძრო საბანი, წამოდგა, მივიდა ხართან, გადაუსვა ხელი, მიუალერსა და ჩასჩურჩულა:

— ძაან კი იბღუვლე, იაბო, აი! იბღუვლე, იბღუვლე, გენაცვალე, რამდენიც გინდოდეს. უკვე დილაა, დილა, იაბო, გენაცვალე, დილა!..

ლუიოს წრფელ ხმაში ნაზი, სათუთი გრძნობა გამოსჭვიოდა. ხარმა ჩვეულებრივ აიქნია კუდი და კინაღამ გაულაწუნა ბავშვს სახეში.

— მეე, იაბო, მეე? მერე რა დაგიშავე?—საყვედურით უთხრა ლუიომ,—მე ვიტირებ განა!

ბავშვი იქით მიტრიალდა, ვითომ ტირილი დაიწყო. იაბლანმა თავი მაღლა ასწია.

— არა, არა, იაბო,—შემოეხვია ლუიო, გეხუმრები, გეხუმრები... არ დაგირტყამს... ეე, გენაცვალე, განა ყველაფერზე ეგრე მალე უნდა გაჯავრდე! მოდი ისევ გაკოცო, მოდი!

გადაჰკოცნა ხარი, გაიხვია საბანში, გაგორდა ისევ დედამიწაზე ისევ და ხვალინდელ დღეზე ჩაფიქრდა. ხვალ იმისი იაბლანი უნდა მეფის ხარს დაეჭიდოს. დიდი ხანია ლუიო ამაზე ოცნებობდა: უნდოდა იმისი იაბლანი როდისმე დასჭიდებოდა. თავადი შეჰპირდა—სურვილს აგისრულებო. ამაზე თავადს სხვა მოხუცებულებმაც სთხოვეს.

— კარგი, მაგრამ მაგის მოწყობა ადვილი არ არის, ხალხო,—ეუბნებოდა თავადი,—მაგაზე საჭიროა მეფის ბრძანება, მაგრამ არა უშავს-რა, თხოვნას გავგზავნი. თუ მისი უდიდებულესობა ბრძანებს დასჭიდეთო, დავჭიდოთ, არაფერი მაქვს წინააღმდეგი,—არა ბრძანებს—ნუ დავჭიდებთ. ასე არ არის?

— აგრეა, თავადო, აგრე. მხოლოდ ჰქმენ ყველაფერი წესზე და ნურაფრის შეგეშინდება!

თხოვნა გაგზავნეს პასუხიც მოვიდა—დასჭიდეთო. ხვალ ფერისცვალების დღეა, თან მეფის დღესასწაულიცაა. ხვალ თავადის სახლთან გასინჯავენ იაბლანსა და რედონსა, აი სწორედ ამაზე ჰფიქრობს ლუიო. უცებ წარმოუდგა თვალწინ, ნარჩილი იაბლანი როგორ ეცემა ძირსა, კვდება. მერმე წინანდელ დღეს წარმოიდგენს ნათლად: იაბო როგორ დასცემს ძირს რედონსა და გამარჯვებული იდგება მოედანზე. ესმის, ესმის, როგორა ბრდღვინავს და ძმები კი ბანს აძლევენ. ლუიომ სიმღერა შემოსძახა.

—

— იაბო, გენაცვალე, არა გცივა?—ეკითხება ლუიო საბან ქვეშიდან.

იაბლანი გაჩუმებულია, სძოვს ბალახს და არაფერს უპასუხებს. ლუიო წამოდგება, მიეალერსება, გამოჰგლეჯს სლის ზვინიდან ორ

# ვერდენთან



ჟოფრი და ვერდენის დამცველი გენერ. პეტენი (1).



გერმანიის ფელდმარშალი ფონ-ბეზელერი (კრონპრინცის ჯარში).



გერმანიის კრონ-პრინცი (გერმანიის ჯარის უფროსი ვერდენის წინააღმდეგ).

ძნას და გაუშლის წინ, თითქოს ეუბნება, მოდი, გვერდზე ამომიწექო. ლუიო ამთქნარებს, სთვლემს, მოუსვენრად ტრიალებს გვერდიდან გვერდზე და ბოლოს იძინებს. იაბლანი შესჭამს ორივე ძნა ასლსა და თავის მეგობრის ახლოს დაწვება. სევდის მომგვრელი, მკვდრული სიჩუმეა, ნესტიანი, გრილი ღამე. ნელი სიო დასისინებს სახლების ახლოს, მთის ძირს რომ ნახევარ რკალივით შემოვლებიან. სახლის ერდოები ხავსით დაფარულა და მთვარის ბუნდ შუქზე ძლივს ერჩევა ამწვანებულ ხეებისგან, გარეშემო რომ შემორტყმიან.

აქა-იქა თუ მოსჩანს თეთრად ახალი სახურავი. მშვიდად, ტკბილად სძინავს სოფელს დიდ, ჩამოშავბნელებულ, მიუდგომელ მთის ძირას, სოფელს რომ უფრთხილდება, ვით მშობელი დედა...

—

მზე ნელ-ნელა ჰყოფს წვერს მთებიდან, დილის გამსჭვირვალე ბინდ-ბუნდში რომ გახვეულან და მოქანცულნი მოსვენებას მისცემიან ისევ. მაგრამ ერთი წუთიც და ირგვლივ მოეფინება ბდღიალა სხივთა ტალღები. ყველაფერი ორთის, ბრწყინავს ათას ფერად. მხოლოდ იქ, შორს სულსა ჰლევს ისევ ნისლი დ ლურჯი სუდარა ეფინება სალ კლდეებს. უცებ ამოძრავდა ყველაფერი, გაიღვიძა, აქოთქოთდა, ვით მხურვალე სისხლი, სიცოცხლემ, სინაზემ დაჰმღერა თავის ჰანგებზე.

— ოჰო, უკვე გათენებულა!—იზმორება ლუიო, იფშვნეტს თვალებს და ირგვლივ მიმოავლებს.—იაბო, გენაცვალე, რატომ არ გამაღვიძე, რატომ? ალერსიანად ეუბნება ის ხარს.

იაბო კი დიდი ხანია წამომდგარა და კარგადაც ამოუღია ფერდი. ლუიოს უხარიან, რომ იაბოს ისე გასჭიკნია მუცელი.

— ე, ძმაო, რახან შენ ემაგრე გიმუშავნია, საუზმე გეკუთვნის, საუზმე!

და ლუიო გამოაძრობს კიდევ რამდენიმე ძნას და იაბლანს წინ დაუდებს. იაბლანი რომ შესჭამს, ლუიო თავადის სახლისაკენ გასწევს. მოფრინდნენ ყვავები მახლობელ ტყიდან და დაესივნენ სიმინდს, რომელიც ეს-ეს არის მარცვალს იკეთებს.

საქონელს მინდორში მიერეკებიან. ბღავილი, ყვირილი ისმის ყოველის მხრიდან. ლუიო ჩაფიქრებული მისდევს იაბლანს. ფიქრებში გართობილა, არ ესმის ჟრიამული, არც ის სიცოცხლე, იმის გარშემო რომ სდუღს და გადმოდის. ის მხოლოდ იაბოზედა ჰფიქრობს და იმის და რედონის ჭიდაობაზე. სწრაფად აქნევს თავს, თითქოს რაღაცას მიხვდაო. იღებს ჯოხს და ჰზომავს მტკაველით.

— იაბო აჯობებს—არა, აჯობებს—არა, აჯობებს—არა, აჯობებს!—ჰყვირის ლუიო და თვალები სიხარულით უთამაშებს.

სიხარულით უსვამს ხელს იაბლანს, ეალერსება:

— მართლა, იაბო, ჰა, მართლა აჯობებ? თუმცა ის მეფის ხარია? ჰა? სულ ერთია, სულ, იაბო, გენაცვალე, არა? ხომ სულ ერთია, მიიხარი, მითხარი, უთხარი შენ ლუიოს, ჰა?

ხარი დამშვიდებული უწყებს ალერსს. ამ ლაპარაკში მივა ლუიო თავადის სახლთან, სადაც უკვე ბლომად მოუყრია ხალხს თავი. სამასლაათოდ კი არ მოგროვდნენ აქ, არა, მოვიდნენ სანახავად—ხარები როგორ იჭიდავებენ.

ლუიოს გული ეკუმშება, როდონს რომ დაინახავს. ბოროტი, ჩვენება ის, საშინელი, დიდი, ჩატუკნული, ვიდრე იაბლანი.

— იაბო, გენაცვალე! თუ დაილუპები, ნუ გაჯავრდები ჩემზე, ნუ გაჯავრდები!—ამოოხვრით ეჩურჩულება ლუიო ისე რომ ხალხმა არ დაინახოს, ეფარება ხარსა და ხელ-მეორედ ჰზომავს ჯოხსა. ისე გამოდის კიდევ, რომ იაბლანმა უნდა აჯობოს. ბავშვს სახეზე ნათელი ადგება.

— რა იყო, ბალღო, გეშინიან?

— ნუ, შვილო, ნუ შეგეშინდება. შენი ხარი—ჭიდაობაში ჭიპმოჭრილია. შენ ერთი ეკლიანი ღელალუნტა უთავაზე და გააღიზიანე!

— მე სულაც არ მეშინიან! რისა უნდა მეშინოდეს!—აღელვებული უპასუხებს ლუიო.



ვერდენი. სემინარია და ტაძარი.



დუომონის ფორტის შესავალი.

— ღმერთმანი, ბალღო, თვალს ვერ დაახამხამებ, რომ რედონი შენ იაბლანს გამოფაშვამს!—აშინებს ლუიოს მინდვრის დარაჯი,—როდონს ბევრი მაგისთანა აუცვამს რქებზე!..

— აუცვამს რქებზე და ვნახოთ, ბატონო!—დაცინვითა და სიძულვილით უპასუხებს ლუიო.

— კარგი, კმარა ფუჭი ლაპარაკი. ქალებო და ბავშვებო, მიდექით გვერდზე!—სასტიკი ხმით ჰყვირის თავადი.—სანახაობა იწყება. გაიყვანეთ ხარები ლობეს იქით, ველზე!

ხარები გაჰყავთ. ირგვლივ ხალხის ღონდგო სდგას. ხარები ერთმანეთსა ჰსუნავენ, ერთმანეთს ეცნობიან.

— აბა, იაბლან!

— აბა, როდონ!

ხარები ბდღვინავენ, წინა ჩქლიქებით მიწასა სთხრიან ბრაზდებიან, ერთმანეთს ემუქრებიან და ბოლოს დაიტაკებიან. ისმის ჯახუნი. მიწა იფხვნება, იზნიქება, ზანზარებს მათ ქვეშ. ლუიო კანკალებს, იტანჯება, ძარღვები დასჭიმია. დიდი, მრგვალი თვალები დაუჭყეტია, გაშტერებულა. უხარიან, როცა იაბლანი ამოუთავაზებს მტერს, გული სტკივა, როცა როდონი იაბლანს მაგრად დაეტაკება. მოკუნტულა ლუიო, წინ გადახრილა, თითქოს უნდა იაბლანს მიეშველოს, მაგრამ შველა რომ არ შეუძლიან! თვალები ერევა. ჰხედავს მხოლოდ, რომ იმის წინ რაღაცა დატრიალებს, იხრება, იზნიქება. როდონი მთელს ძალასა და ღონეს იკრებს.

— აჯობე, აჯობე, იაბო!—ჰყვირის ლუიო გამწარებული.

იაბლანი ძველი, ეშმაკი მოჭიდავეა, დაიჩოქებს მარჯვენა მუხლზე, ვითომ წაიქცა, და რედონს ყელში ამოუნიავებს რქებს.

— უშველეთ, ხალხო, უშველეთ, ხარს ნუ გააფუჭებინებთ!—შეშინებული ჰყვირის თავადი.

რედონს ყელიდან სისხლი მოსთქრიალებს. ლუიო თავისუფლად ამოისუნთქებს, გასწორდება წელში, ამაყი გაჰკივლებს სიხარულით მთათა მწვერვალნი მის საპასუხოდ ასევე ხმა-მაღლა ეხმაურებიან.

**ხანგანიძე.**

## ძველი საქართველო



სარდლების შეხვედრა და თათბირი.

# კუდიანი ვარსკვლავი

ერკმან-შატრიანისა.

შარშან, სწორედ ყველიერის წინა დღეებში ქალაქ ჰუნებურლში თავზარ-დამცემი ხმა გავარდა—ქვეყნიერობის აღსასრული დადგა, კუდიანი ვარსკვლავი უნდა დაეჯახოს დედამიწას და ეს უკანასკნელი დაინგრესო. ამ ამბის ქვეყნად მომდები ქოლმარელი ექიმი ზაქარია პიპერი იყო. პიპერმა მრავალ ჟურნალში მოათავსა ამაზე ვრცელი ცნობები. მის მათემატიკურ გამოანგარიშებით გამოდიოდა, რომ ზედ აღების დღეს ცაზე უნდა გამოჩენილიყო კომეტა, რომლის კუდი 735,000,000 ვერსის სიგრძე, დედამიწას მოუახლოვდებოდა და ისეთ ცხელ ნივთიერებისაგან იქნებოდა შემდგარი, რომ მთის მწვერვალებზე თოვლს დაადნობდა, ამოხრუკავდა მცენარეულობას, შეჰხუთავდა ჰაერს და ყველაფერი დაიღუპებოდა.

ამის წინააღმდეგ გაილაშქრა ერთმა მეცნიერმა ვინმე პოპინომ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ჩვენს პლანეტას—მიწას არავითარი საფრთხე არ მოელის; მართალია, კომეტას კუდი დედამიწის ახლოს გაივლის, მაგრამ იგი შესდგება ისეთ თხელ ნივთიერებისგან, რომ ზიანს ვერაფერს მიაყენებს მას. შეგვიძლიან ტკბილად ვიძინოთ ამ დროს ან და გულდამშვიდებული ვიმუშაოთ; ჩემს კისერზე იყვეს, თუ რამ ავი მოხდესო. ამან, რასაკვირველია, ცოტა დააშოშმინა შეძრწუნებული ხალხი.

საუბედუროდ ამავე ჰუნებურლში „სამი სურის“ ვიწრო ქუჩაზე სცხოვრობდა ერთი მოხუცი მრთველი დედაკაცი,—ვინმე მარიამ ფინქი. იყო პატარა ტანისა, გამხმარი, დაღმეჭილი და ჩაყვითლებული სახისა და ხალხში დიდი გავლენითა სარგებლობდა. გაუჭირდებოდა ვინ ეს რამე თუ არა, მაშინვე იმასთან გარბოდა რჩევისათვის. იმის პატარა ოთახის კედელ-ჭერი თეთრად იყო გალესილი და ზედ ათასგვარი ჭრელ-ჭრული რამ ეხატა: კვერცხები, ვარაყიანი კაკლები და სხვა მრავალი რამ ზღაპრული. თვითონ დედაბერი ძველ გემოვნებაზე იცვამდა და ძალიანა სწამდა მარხვა. ყველა ეს უფრო აცხოველებდა იმის გავლენას.

მარიამ ფინქი, იმის მაგიერ, რომ პოპინოსთვის მხარი დაეჭირა და ჭორები გაექარწყლებინა, ზაქარია პიპერს მიემხრო და ხმა-მაღლა ჰქადაგებდა: „შორს აღარ არის ქვეყნის აღსასრული, მოინანიეთ ცოდვები, შეუდექით ეკლესიას და ილოცეთო“.

იმის ოთახის წინა კუთხეში ერთი სურათი ეკიდა, რომელიც ჯოჯოხეთს წარმოადგენდა. სურათზე სწორ და ვარდით ფენილ გზაზე მრავალი ხალხი მიდიოდა ჯოჯოხეთისაკენ და არ კი იცოდნენ სად მიჰყავდა იმ გზას. ყველა მხიარულობდა, ზოგი ცეკვავდა, ზოგს ბოთლით არაყი ეჭირა ხელში, ზოგს ლორის მსუქანი ნაჭერი, ზოგს ძეხვი. ერთი ხელოსანი, ლენტებით მორთული ქუდი რომ ეხურა, კლარნეტზე უკრავდა, რომ თანამგზავრთ არ მოსწყენოდათ; ზოგი კიდევ ერთი-ერთმანეთს ეხვევოდნენ, ჰკოცნიდნენ, ყველანი კი უფსკრულისკენ მიექანებოდნენ საბრალონი და ცეცხლსა და კუპრში ცვიოდნენ. ადვილი წარმოსადგენია რა ფიქრებს აღუძრავდა ეს სურათი ღვთის მოშიშ გულის პატრონთ. ხომ იცით, დუნიაზე არ მოიპოვება არც ერთი ადამიანი, თავის თავს რომ უცოდველ ანგელოზადა სთვლიდეს.

ყველა ამის გამო ჰუნებურლელებმა გარდასწყვიტეს, აღარ გაემართათ სანილაბო მეჯლისი, ყველიერში რომ აპირებდნენ და აღების დღე ლოცვა-ვედრებაში გაეტარებინათ. ბევრს გაუფუჭდა ქეიფი. ადიუტანტი, კაპიტანი და სხვა ჩინოსნობა ადგილობრივ გარნიზონისა სასოწარკვეთამ მოიცვა. ყოველნაირი მზადება, ქალაქის სამმართველოს უზარმაზარი დარბაზი—ხავსით და საომარი ტროფეებით მორთული, ლუდი, კირში, ბიშოფი და სხვა გამგრილებელი სასმელი,—მიატოვეს, რადგან მშვენიერ არსებათ ცეკვა-თამაშისათვის აღარა სცხელოდათ. უიმათოდ კი მათი გართობა აბა რა გართობა იქნებოდა!—მე ხომ ისეთი ავ-კაცი არა ვარ,—გაიძახოდა სერჟანტი დიუშენი,—მაგრამ ახლა რომ ი ზაქარია პიპერია თუ რაცლა ჯანდაბა, ჩამივარდებოდეს ხელში, ცუდად მოვუჩეჩდი თავსა!..

მაგრამ ისე არავინ იყო დამმარებული, როგორც ქალაქის სამმართველოს მდივანი დანიელ შპიცი, ფოსტის უფროსის შვილი ჟერომ ბერთი, გადასახადთა მომკრები დიუჟარდენი და მე. ხუმრობა ხომ არ იყო. იმ ერთი კვირის წინ ჩვენ ყველანი სტრასბურგში ვიყავით საგანგებოდ სადღესასწაულო ტანისამოსისთვის. ძია თომმა 50 ფრანკი მაჩუქა. ამ ფულით მაღაზიაში ავარჩიე ჩემთვის მასხარას მოკაზმულობა. გრძელი პერანგი დიდ-დიდ ნაოჭიანი და უგრძელესი სახელოებიანი; მუშტის ოდენა, ხახვის მზგავსი ღილები ება და ისე ახლო-ახლო, რომ ერთი ბეწვა განძრეულიყავ, ერთი ჟღარუნი და დავი-დარაბა ატყდებოდა. ამას გარდა პირისახე უნდა მქონოდა ფქვილში ამოგანგლული, უზარმაზარი ცხვირი, ჩაძვრენილი თვალები და თავზე კი შავი ქუდი. იმედი მქონდა ამით ერთს ამბავს მოვახდენდი. დიუჟარდენმა, რაკი დიდი ღიპი ჰქონდა, აირჩია ოსმალოს ტანისამოსი, მთლად ოქრომკედით მოქარგული; შპიცმა იყიდა ათასგვარ წითელ, მწვანე და ყვითელ ნაჭრებისგან შეკერილი ტანსაცმელი მასხარასი; უნდა ჰქონოდა აგრეთვე კუზი წინ და უკან და ჟანდარმის ვეება ქუდი, კეფაზე წამოდებული. ჟერომ ბერთი ველური უნდა ყოფილიყო, თუთიყუშის ბუმბულის ტანისამოსში. წინდაწინვე აღტაცებაში მოვდიოდით, რომ „მშვენიერ არსებათა“ ყურადღებას მივიქცევდით და ეხლა ვიღაც ზაქარია პიპერის და მარიამ ფინქის სისულელის მეოხებით ყველა ამას ამაოდ უნდა ჩაევლო. განა ეს მოსათმენი იყო?! მაგრამ რა გაეწყობოდა. ყველაფერი ამ ქვეყნად ხომ ასეა მოწყობილი: უგუნურნი ბრძენზე უკეთ სცხოვრობენ მუდამ.

ბოლოს აგერ დადგა აღების დღეც. ცა სათოვლედ იყო მოღრუბლული. დახე ბედნიერებას! საითაც არ უნდა გაგეხედნა, კუდიანი ვარსკვლავი არსადა სჩანდა. სიხარული შეუდგა ახალგაზრდობას. ყველა ერთი-მეორესთან დარბოდა და ერთმანეთს არწმუნებდა:—ჰა, ხომა ჰხედავთ, რომ ფინქი ჭკუას შესცდა, ახლაც არ დაიჯერებთ! თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ—სადა თქმულა და გაგონილა, რომ კუდიანი ვარსკვლავი ზამთრობით გამოჩენილიყოს! იმის დრო შემოდგომაზეა... არც ახლა დარწმუნდებით, რომ ყველაფერი ტყუილია!.. ეხლა ხომ რისამე იმედია... დრო დადგა და გადადებაც არ შეიძლებაო და სხვა ამგვარი. არ ეძინა სამხედრო ჩინოსნობასაც. ისინიც დიდს ფაცა-ფუცში იყვნენ და დარიგება-ყვედრებით ავსებდნენ ლაქია-მოსამსახურეთ. ბევრს გაბედულებაც შეეტყო. მოხუცებულებმა ხელი-ხელ გაყრილი გასწიეს ქალაქის სამმართველოსკენ. ახალგაზრდობის სიმხიარულემ და სამფერ ბაირაღებით მორთულმა, გაჩირაღდნებულმა დარბაზმა უმალ შესცვალა აზრთა-მსვლელობა. აქ გაახსენდა ყველას, რომ დღეს აღების დღე იყო და ხვალ დიდმარხვა დგებოდა. ახმაურდა უცებ შკაფები, კამოდები, ყუთები. ყველა თვის სადღესასწაულო ტანისამოსის წმენდასა და გამზადებას შეუდგა. ქალაქის გამგეობის ვეება დარბაზი ათ საათზე უკვე გაჭედილი იყო ხალხით. ჩვენს საწადელს მივაღწიეთ—ჰუნებურლში არ დარჩენილა ერთი ასული, რომ უარი ეთქვა ჩვენს მიწვევაზე. გაისმა მუსიკის საამო ხმა და დაიწყო ცეკვაც. აღფრთოვანებული ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი ხელი ხელ გაყრილი შთაინთქნენ მხიარულ ვალსის ზღვაში. მოხუცნი კი იქვე განაპირას მიმსხდარიყვნენ, რაღაზედაცა ბაასობდნენ და ხითხითებდნენ უდარდელად. ბუფეტთან ხომ იმდენი ხალხი იდგა, რომ რაიმე სასმელით გახურებულ ყელის ჩასველება გდომებოდა, ვერ მიაწევდი. ბიძია ციმერმანს ამ დღეს სწორედ რომ რთველი დაუდგა—ჯიბე გროშობით კარგად ამოივსო.

კარგა დრო გადავიდა. ზოგი უკვე ღვინით მაგრა გალეშილი, ფეხის ბორძიკით სახლისკენ მიტორტმანებდა. ქუჩაში თოვლი სქლადა ბარდნიდა. ძია-ჩემმა თომამ სახლის გასაღები მომცა და როცა მომესურვებოდა, მაშინ წავიდოდი შინ. ძალიან მხიარულებაში ვიყავი ორ საათამდე. ერთი ვალსი არ გამიშვია, რომ არ მეცეკვა, მაგრამ ბოლოს მომწყინდა, ძალიანაც მოვიქანცე, თავიც კარგა მიბჟუოდა ღვინისაგან და გარდავწყვიტე შინ წასვლა. გამოვედი კიდეც გარედ. აქ, რაკი ცივმა ქარმა დამკრა, თითქოს გამოვფხიზლდი. შევ-

## ხ ე ლ ე ბ ი



1. მოკავშირეების. 2 ნეიტრალურ სახელმწიფოების. 3. გერმანელების.

ჩერდი და არ ვიცოდი რა მექნა—შინ წავსულიყავი თუ ისევ დავბრუნებულიყავი უკან და ერთი კიდევ მაინც მეცეკვა. ცეკვა-თამაშიც მინდოდა, მაგრამ თვალებიც მებლიტებოდა. ბოლოს ისევ ძილი ვარჩიე და ნელი ნაბიჯით პირდაპირ გავსწიე სილიბისტროს ქუჩისკენ. თან რაღაზედაცა ვოცნებობდი. ასე მივდიოდი ათ წუთამდე. ქუჩის შემოსახვევში, ზედ შადრევანთან, რაღაცა ეშმაკად უცებ მაღლა ავიხედე და... გავშეშდი. ხის ტოტნეში ცაზე დავინახე ცეცხლისებრ მოელვარე ვეება ვარსკვლავი, რომელიც, როგორც მე მომეჩვენა, თანდათან იზრდებოდა. მართალია, ის რამდენიმე ასი მილიონი ვერსის მანძილზე იყო ჩემგან, მაგრამ ისეთი სისწრაფით დიდდებოდა, მაშასადამე ისეთი სისწრაფით მოექანებოდა დედამიწისკენ, რომ ჩემი წარმოდგენით, სულ მცირე ხანში ერთი ადლის სიშორეზე ლა იქმნებოდა ჩვენგან. თავ-ზარი დამეცა, მთლად გავშეშდი, მუხლები ამიკანკალდა, თმა ყალხს დამიდგა და ისე, უნებლიედ წამოვიყვირე: „ვაიმე, ეს ხომ კუდიანი ვარსკვლავია, მართალი ყოფილა ზაქარია პიპერი“!.. და თავგზა-აბნეული გამოვტრიალდი უმალ და მოვქუსლე საცეკვავო დარბაზისაკენ. რის ვაი-ვაგლახით ავირბინე კიბე და თანა ვღრიალებდი: „ვაიმე, ვაიმე, კუდიანი ვარსკვლავი!.. კუდიანი ვარსკვლავი“!.. ცეკვა-თამაში გახურებული იყო. უზარმაზარი დოლი მეხივითა გრიალებდა. დედოფლებივით მოკაზმულ ახალგაზრდა ქალებს ლოყები შესწითლებოდით და მხიარულადა ტრიალებდნენ. მაგრამ გაისმა თუ არა დარბაზში ჩემი ღრიალი: „ვაიმე, კუდიანი ვარსკვლავი... თავს უშველეთ“ მეთქი, მაშინ კი ყველაფერი უცებ შესწყდა, ყველას ზაფრანის ფერი დაედო. სერჟანტი დიუშენი მომვარდა, მტაცა პირზე ხელი და დამიყვირა: „ჭკუას ხომ არ შესცდი, გონს მოდი, რასა სჩადიხარ“!.. მაგრამ მე ხელიდან გავუსხლტი და საბრალოდ გავკიოდი: „ვაიმე, კუდიანი ვარსკვლავი!.. კუდიანი ვარსკვლავი“!..

ასტყდა აურ-ზაური. გაისმა ტირილი, გოდება. ყველა ფაცაფუცით კიბეზე დაეშვა და დარბაზი ხელად დაცალიერდა. დიუშენმაც თავი დამანება. ფანჯარასთან მივედი და ხალხს დავუწყე ცქერა, ქუჩაში რომ ჩოჩქოლობდა. მაგრამ მალე აქაც კუდიანი ვარსკვლავის შიშმა ამიტანა და გონება-დაბნეული გამოვარდი გარედ. ბუფეტის ახლოს მეწვრიმალე დედაკაცი ეკატერინე ლაგუთი და უნტერაფიცერი ბუქეთი დავინახე. ფუნჯსა სვამდნენ და თან ხშირ-ხშირად ერთი-მეორეს უმეორებდნენ—ეჰ, ე ხომ ვიხოცებით და ვიხოცებით და ბარემ პატარა ეშმაკი გავახაროთ მაინცო!.. კიბეზე ხალხი ჩაყოლებული ბლომად ისხდა და სიკვდილის წინ ყველა ალსარებას ხმამაღლა ამბობდა და ცოდვებს იიანიებდა. ზოგი გაიძახოდა: „ვაიმე, მე ყალბი სასწორი მქონდა!“ ზოგი—„ვაიმე, მე „ვმოშენიკობდი“, ზოგი კიდევ რას, თან ცხარე ცოემლით იმდუღრებოდნენ და შებრალებასა სთხოვდნენ ღმერთსა. ყველაზე ბოლოში მებულკე ფევრი და ძალუა ლანრიცი ისხდნენ. გულში მაგრა იცემდნენ მუშტს და ეტყობოდათ ყველაზე ძალიანა სწუხდნენ. მაგრამ მე იმდენად არ ვაქცევდი ამ ამბებს ყურადღებას. სხვისა რა ჯავრი მქონდა, როდესაც მეც ჩემს თავს ანგელოზად არა ვთვლიდი და ბევრი ცოდვა მეკიდა კისერზე. მალე მივირბინე შადრევანთან. აბა აქ იყო აი ნამდვილი უბედურება. ყველა თავის თვალითა ჰხედავდა კუდიან ვარსკვლავს, ყველა პირდაპირ შეჰყურებდა სიკვდილს თვალებში და ჰგოდებდა, მე კი მომეჩვენა, რომ კუდიანი ვარსკვლავი ერთი-ორად გადიდებულიყო. ნათლადა სჩანდა, ნაპერწკლები სცვიოდა და რადგან ძალიანა ბნელოდა, სისხლივით წითლად ლაპლაპებდა. ხალხი შეჰყურებდა მას და ბღაოდა: „მშვიდობით ჩვენო სახლ-კარო!.. ჩვენი განკითხვის დღე დადგა... ვიღუპებით“!.. ქალები მუხლ-მოდრეკილი ღმერთს ევედრებოდნენ, ზოგი კიდევ საშველად წმ. იოსებს მოუწოდებდა, ზოგიც წმ. ნიკოლოზს. მეც უფრო შევძრწუნდი და მთელი ჩემი ცოდვები სარკესავით წარმომიდგა წინ. თავიდან ფეხამდე მთლადა ვკანკალებდი, რომ ასე უცებ ყველანი უნდა დავმწვარიყავით. იქვე, ჩემს გვერდით, იდგა მოხუცი მათხოვარა ბალთაზარი თავის ყავარჯნებით.

— აბა, შენ იცი, ჩემო ბალთაზარ,—გადავეხვიე და ვუთხარი ტირილით,—თუ არ დამივიწყებ და ილოცებ ჩემთვის, როცა ღმერთთან წარსდგები!.. ეჰ, ჩემო ქრისტო!.. მიპასუხა იმანაც ტირილითვე, მე თვითონ დიდი ცოდვილი ვარ... ოცდაათი წელიწადია ხალხს ვატყუებ მხოლოდ იმიტომ, რომ მუშაობა მეზარება, ზარმაცი ვარ... სრულებითაც არა ვარ ისე კოჭლი, დავრდომილი, როგორც თქვენა გგონიათ...—მე, მე... ბალთაზარ...—სლოკინით მივუგე მე,—მე უფრო დიდი ცოდვები მაკეცია კისერზე.. დიდი ცოდვილი ვარ, დიდი მთელს ქალაქში... და ჩვენ ერთი-ერთმანეთს მოხვეული სწარედა ვტიროდით. გაიარა პატარა ხანმა. უკვე ყველა მუხლ-მოდრეკილი ლოცულობდა. მაგრამ აი ქოქინით მოირბინა სერჟანტმა დიუშენმა. იგი ჯერ თოფხანისკენ სცემოდა, მაგრამ რაკი არაფერი დენახა, ისევ კაპუცინთა ქუჩაზე მოირბინა.

— რა იყო, რა ღმერთი გაგიწყრათ, რა გაღრიალებთ?—დაიყვირა იმან; მაგრამ რაკი თვალი მოჰკრა კუდიან ვარსკვლავს, თვითონვე შეჰყვირა!

— ე რაღა ჯანდაბაა?

— ეგ ჩვენი სიკვდილის მახარობელია,—უკარნახა ბალთაზარმა.

— როგორ თუ სიკვდილის?

— სიკვდილის, არ იცი? ეგ ხომ კუდიანი ვარსკვლავია!..

ამის გაგონებაზე დიუშენი შეკრთა, ერთი შეუბღვირა კუდიან ვარსკვლავს და თან წამოიძახა—ახ, სად ხარ ეხლა, ჩემო ადიუტანტო, ერთი შენებურად გებრძანებინა და მერე მე ვიცოდი!..

ამასთან იძრო ხმალი და თამამად გასწია წინ. თან თავის თავს ამხნევებდა—აბა, წინ, წინ ყოჩაღად!.. უიმისოდაც კარგად დავზევრავ მტერს...

ყველას უკვირდა იმისი სიმამაცე. ამით წათამამებული მეც ავედევნე მას ფეხდაფეხ. ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით საბედისწერო ვარსკვლავს. და თან თვალს არ ვაშორებდით მას. იგი თითქოს თან და თან უფრო და უფრო იზრდებოდა. აი მივედით კაპუცინთა მონასტერთანაც. მოგვეჩვენა, თითქოს კუდიანი ვარსკვლავი აქ მაღლამაღლა მიდიოდა. თვალიდან რომ არ მოგვფარვოდა, იძულებული ვიყავით სულ მაღლა გვეცქირა. ბოლოს დიუშენმა ძალზე გადილო თავი უკან და ერთხელ კიდევ შეჰხედა. მე იმის ცოტა იქით ვიდექი და კუდიან ვარსკვლავს გვერდიდან შევყურებდი.—ნუ თუ,—ვფიქრობდი გონებაში,—ჭკვიანი ამას იზამს, რომ ასე მიუახლოვდეს ასეთ საშიშ რამეს,—რომ სერჟანტი შეჩერდა და გაკვირვებით წამოიყვირა—აი დასწყევლოს ღმერთმა, ეს ხომ ქუჩის ფანარია?..

— რას ამბობ, ფანარი? წამოვიყვირე და წინ გადავხტი,—ნუ თუ მართლა? და... განცვიფრებისგან გავშეშდი—ეს მართლა კაპუცინთა მონასტრის ძველი ფანარი იყო. იმას ძალიან იშვიათად ანთებდნენ, რადგან 1798 წლიდან აქ ბერები აღარა სცხოვრობდნენ და ამას გარდა ჰუნებურღელები მზის ჩასვლისას იძინებდნენ. ამ სახსოვარ ღამეს კი ღამის ყარაულს ბურრუსს აენთო ის, რადგან მონასტრის ირგვლივ თხრილი იყო და ეშინოდა—საღამოდან ბევრი დაბრუნდებოდა და შიგ არ ჩაცვივნულიყო. ნათლადა ვხედავდით ხეების ტოტებ შუა ფანარს. პატრუქი თითის სიმსხო ჰქონდა და ქარი ცოტათი გაანძრევდა თუ არა, ნაპერწკლები სცვიოდა და ალი აქეთ-იქით ირხეოდა, რაიცა ჩვენ კუდიანი ვარსკვლავის მოძრაობა გვეგონა.

დავინახე თუ არა რაშიაც იყო საქმე, უცებ გამოვტრიალდი და უკან გაქცევა დავაპირე, რომ ხალხისთვის მევე მეხარებინა ეს ახალი ამბავი, მაგრამ დიუშენმა შემაჩერა.—მოითმინე,—მითხრა იმან,—სად მიხვალ? რომ გაიგონ, ჩვენ იერიში მივიტანეთ ფანარზე, ხომ ქვეყნის მასხარად გაგვაკეთეს. მოიცა, აბა უყურე!.. ამასთან მოხსნა ჯაჭვი, რომლითაც ფანარი ეკიდა. ფანარი ძირს დაეცა და ლუკმალუკმად იქცა. ჩვენ კი შინისკენ მოვუსვით. დანარჩენნი კი კიდევ დიდხანს იდგნენ ერთს ალაგს, მაგრამ რაკი კუდიანი ვარსკვლავი სადღაც გაჰქრა, გული ცოტათი დაიშოშმინეს და სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

მეორე დღეს მთელს ქალაქში გავარდა ხმა—კუდიანი ვარსკვლავი ჩაჰქრა მარიამ ფინქის მხურვალე ლოცვითო. ამის შემდეგ ხალხი, რასაკვირველია, უფრო მოწიწებით დაუწყებდა იმას ცქერას და მისი გავლენა უფრო განმტკიცდებოდა. აი ასეთი უცნაური ამბები ხდება ჩვენს კურთხეულ ჰუნებურღში.

**სანგანიძე.**

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩა. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.